

გენო ქელბაქიანი

დაიბადა 1910 წლის 5 თებერვალს ქალაქ ქუთაისში. გენო ქელბაქიანი 9 წლის ასაკში დაობლდა, მშობლების გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვან ასაკში დარჩენილი 1923 წელს თბილისში გადმოდის საცხოვრებლად, სადაც ამთავრებს საშუალო სასწავლებელს და შემდეგ კი თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტს.

გენო ქელბაქიანი 16 წლიდან ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას, ბეჭდავდა პერიოდულ გამოცემებში ნარკვევებს, ფელეტონებს, იუმორისტულ მოთხრობებს.

1942 წლიდან მუშაობას იწყებს დრამატულ ჟანრზე და მისი პიესა „სევდიანი რომანი“ იდგმება მარჯანიშვილის თეატრში.

დაწერილი აქვს 7 მრავალმოქმედებიანი და 10 ერთმოქმედებიანი პიესები, რომლებიც იდგმებოდა თბილისსა და სხვადასხვა თეატრებში. მისი პიესებიდან ახსანიშნავია: „გამოცდები“ „დაგვიანებული სინანული“ თქმულება დიად მეგობრობაზე“. საბავშვო პიესა „გურამის შეცდომა“ „ჩვენი პირადი საქმე“ და სხვა.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ბრძანება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ი.დოლიძესა და საქ.სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი. გ.ქელბაქიანის პიესის „ჩვენი პირადი საქმე“ მე-3 პრემიის მინიჭებისა და ჟიურის მიერ რეკომენდირებული პიესების ავტორებთან ხელშეკრულების შესახებ. პირი: ალექსი აფხაიძე. ანდრო პატარაია მიხეილ გოგიაშვილი. 1950წ. 20 ივლისი. ნაბეჭდი.ბეჭედდასმული. ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი- ი.დოლიძე. 1გვ.
2. ხელშეკრულება დადებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ისიდორე დოლიძესა და გ.ქელბაქიანს შორის. გ.ქელბაქიანის პიესის „ჩვენი პირადი საქმე“ დადგმის შესახებ. 1950წ. 27 ივლისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული.ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი- ი.დოლიძე.დრამატურგი-გ.ქელბაქიანი. 1 გვ.
3. ხელშეკრულება დადებული გამომცემლობა „ИСКУССТВО“-ს დირექტორ პავლა კარულინასა და გენო ქელბაქიანს შორის. გ. ქელბაქიანის პიესის „ახალგაზრდა მასწავლებლის“ გამოცემასთან დაკავშირებით. 1951წ.24 მაისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს: გ. ქელბაქიანი პ.კარულინა. რუსულ ენაზე. 2გვ.
4. გენო ქელბაქიანის პირადი ბარათი. 1952წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: გ. ქელბაქიანი.4 გვ.
5. ხელშეკრულება დადებული გენო ქელბაქიანსა და თბილისის კინოსტუდიის დირექტორ შალვა აფხაიძეს შორის. სთხოვს გენო ქელბაქიანს ფილმისთვის ახალი სცენარის დაწერას. 1954წ. 13 ივლისი. თბილისი. ხელს აწერს: შალვა აფხაიძე გენო ქელბაქიანი. ნაბეჭდი რუსულ ენაზე. 3გვ.
6. ბრძანება ა.ს.პუშკინის მოსკოვის დრამატული თეატრისადმი. გ.ქელბაქიანის პიესაში „ახალგაზრდა მასწავლებელი“ როლების განაწილებასთან დაკავშირებით. პირი: ნ.მ.ნოვლიანსკი ა.ფ.მოროზოვი პ.ა.ბერეზოვი ვ.ა.კუდროვი ლ.ა.ჩუბაროვი დ.ა.ალექსიძე დ.ს.თავაძე.ს.ფ.ცინცაძე პ.პატარასოვი ე.ვ. საფჩენკო და სხვა. 1954წ. 25 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუს.ენაზე. 2 გვ.
7. გენო ქელბაქიანის მოკლე დახასიათება. 1970წ. 5 იანვარი.ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: ს.ჭილაია. ირ.ქავჭარაძე. ნაბეჭდი. რუს. ენაზე. 1 გვ.
8. საპატიო სიგელი გ.ქელბაქიანისადმი,გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ ნაყოფიერ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. 1970წ.2 ნოემბერი. 1 ც.
9. გენო ქელბაქიანის ავტობიოგრაფია. უთარილო. ხელს აწერს. გ. ქელბაქიანი. ნაბეჭდი.1გვ
10. ამონაწერი მიმართვიდან პუშკინის სახელობის თეატრის კოლექტივის, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივისადმი.მოსკოვში დადგმულ გ.ქელბაქიანის პიესის წარმატებით დადგმასთან დაკავშირებით. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. ქ.ხაფავასა და გ.ქელბაქიანის განცხადება საქართველოს სარეპერტუარო კომიტეტთან. სანკულტურის თეატრსა და მათ შორის ფინანსური უთანხმოების შესახებ. უთარილო.ხელნაწერი. ხელს აწერს: ქსენია ხაფავა, გენო ქელბაქიანი. 2 გვ

12. გენო ქელბაქიანის პიესების სია.
უთარილო. ხელს აწერს: გ.ქელბაქიანი. ნაბეჭდი. 1 გვ.

წერილები გენო ქელბაქიანისადმი

13. მესხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მ.მემპარიაშვილის წერილი გ. ქელბაქიანისადმი. მესხეთის თეატრში მისი პიესის „დაგვიანებული სინანული“ წარმატებით დადგმასთან დაკავშირებით.
1948წ. 7 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. 1 გვ.
14. იგორ ლუკოვსკის წერილი გ. ქელბაქიანისადმი. გ. ქელბაქიანის პიესის (?) შესახებ. პირი: მიტია პეტროვიჩი. დოდო ალექსიძე. 1955წ. 29 მარტი. მოსკოვი. მელანი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
15. კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ივანე გვინჩიძის წერილი გენო ქელბაქიანისადმი. სთხოვს წერილობით აცნობოს პიესის მდგომარეობა, რომელსაც სწერს მარჯანიშვილის თეატრისთვის.
ხელს აწერს: მარჯ.თატრის დირექტორი–ივ.გვინჩიძე. 1956წ. 5 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
16. მწერალთა კავშირის გამგეობის წერილი გენო ქელბაქიანისადმი. 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1970წ. 11 თებერვალი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. ახლავს ასლი. 2 გვ.
17. შალვა ფრანგიშვილის წერილი გენო ქელბაქიანისადმი. მისი 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1970წ. 14 ნოემბერი. ხელს აწერს: შ.ფრანგიშვილი. ნაბეჭდი. 1 გვ.
18. დოდო ალექსიძის წერილი გ.ქელბაქიანისადმი. გ. ქელბაქიანის პიესის (?) შესახებ. პირი: ფ.ლაპიაშვილი. უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
19. იგორ ლუკოვსკის წერილი გ. ქელბაქიანისადმი. გ. ქელბაქიანის პიესის(?) დაბეჭდვის და დადგმის შესახებ.
პირი: ტუმანოვი. უთარილო. მოსკოვი. მელანი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
20. რუსთაველის თეატრის კოლექტივის წერილი გ. ქელბაქიანისადმი. მოსკოვში მისი პიესის „ ის იცვლის მისამართს“ წარმატებით დადგმასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 2 გვ.

დეპეშები

21. მედეა მიქაშავიძის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი.ატყობინებს სოხუმში მისი პიესის წარმატებით დადგმის შესახებ.
სოხუმი. 1945წ. 17 ნოემბერი.
22. პიმონოვის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. მისი პიესის გაგზავნის და თარგმნის შესახებ.
მოსკოვი. 1950წ. 29 ნოემბერი.

23. ლუკოვსკის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. მისი პიესის წარმატებით დადგმის შესახებ. მოსკოვი. 1954წ. 29 ივლისი.
24. მიხეილ მრევლიშვილის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. ულოცავს პრემიერის წარმატებებს. თბილისი. 1955წ. 12 მარტი.
25. ალექსანდრე ტაიძის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. მისი სპექტაკლის წარმატებების შესახებ. თბილისი. 1955წ. 12 მარტი.
26. ალ. აფხაიძის მისალოცი დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. მისი წარმატებების შესახებ. თბილისი. 1955წ. 13 მარტი.
27. ვასო ყუშიტაშვილის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. ულოცავს პრემიერას. თბილისი. 1955წ. 17 მარტი.
28. მიხაილ ლაკერბაიას მისალოცი დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. ულოცავს ახალ წელს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს. მოსკოვი. უთარილო. 29 დეკემბერი.
29. დაირაჯიევის დეპეშა გ. ქელბაქიანისადმი. ატყობინებს ნაბეჭდი მასალის მიღებას. მოსკოვი. უთარილო.
30. ლალი ყურულაშვილის დეპეშა გ. ქელბაქიანის, დიმიტრი ალექსიძის, სულხან ცინცაძისა და დიმიტრი თავაძისადმი. ულოცავს შემოქმედებით წარმატებას. თბილისი. უთარილო.
31. მარჯანიშვილის თეატრის პროგრამა გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ 1945–46წ. დასტამბული 1 ც.
32. აჭარის სახელმწიფო ქართული თეატრის პროგრამა. გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ 1945–46წწ. დასტამბული. 1 ც.
33. თბილისის N1 სტომატოლოგიური პოლიკნიკის თეატრალური კოლექტივის პროგრამა. 1945–46წწ. დასტამბული 1 ც.
34. რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ქართული დრამატული წრის პროგრამა/ გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ 1946წ. დასტამბული. 1 ც.
35. გ. ქელბაქიანის პიესა „შესაფერი ჯილდო“ პროგრამა. 1946წ. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
36. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრის პროგრამა გ. ქელბაქიანის „გამოცდები“. 1946–47წწ. დასტამბული. 1 ც.
37. ცხაკაიას თეატრის პროგრამა. გ. ქელბაქიანის „გამოცდები“ 1946–47წწ. დასტამბული. 1 ც.
38. სოხუმის თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“. 1946–47წწ. დასტამბული. 1 ც.
39. გორის თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“. 1947–48წწ. დასტამბულ. 1 ც.
40. ველისციხის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“ 1947–48წწ. დასტამბული. 1 ც.
41. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე“. 1950–51წწ. დასტამბული. 3 ეგზემპლარი.

42. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თატრალური კოლექტივის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „თქმულება დიად მეგობრობაზე“. 1951წ. დასტამბული. 1 ც.
43. ს.ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე“. 1951წ. დასტამბული. 1 ც.
44. ბათუმის თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ჩვენი პირადი საქმე“ 1951–52წწ. 1 ც
45. სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის პროგრამა. გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“. 1952–53წწ. დასტამბული. 1 ც.
46. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“. 1952–53წწ. დასტამბული 1 ც.
47. ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“. 1952–53წწ. დასტამბული. 1 ც.
48. გენო ქელბაქიანის პიესა „ის იცვლის მისამართს“ პროგრამა. 1955წ. 8 მარტი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 3 ც.
49. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის პიესა „განა ეს სიკვარულია“. 1956წ. სტალინური. დასტამბული 1ც.
50. სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „ხმა გულისა“. 1958–59წწ. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2. ეგზ.
51. დუმეთის სარაიონო კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის პროგრამა. გენო ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“. უთარილო. დაზიანებული. დასტამბული. 1ც.
52. ა.პუშკინის სახელობის თეატრის დეპეშის ტექსტი გენო ქელბაქიანისადმი. ულოცავენ პიესის „ის იცვლის მისამართს“ პრემიერას. 1955წ. ბავექდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
53. გენო ქელბაქიანის მოგონება მარჯანიშვილის თეატრში დადგმული მისი პიესის „შესაფერი ჯილდოს შესახებ“ ირი: პიერ კობახიძე, გალაქტიონ ტაბიძე, ვასილ კიკნაძე. უთარილო. გენო ქელბაქიანის ხელმოწერით. ნაბეჭდი.3 გვ.